

შპს „ემტექნიკსი“

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

10 აგვისტო 2021
თბილისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მსს-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მსს სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
შესავალი	10
მომზადების საფუძველი	10
სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	10
ფუნქციონირებადი საწარმო	11
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	18
ძირითადი საშუალებები	19
არამატერიალური აქტივები	20
მარაგები	20
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	20
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
გაცემული სესხები	21
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	21
მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	21
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
კაპიტალი	22
ამონაგები	22
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	23
სხვა შემოსავლები	23
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
მიწოდების ხარჯები	23
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	24
სხვა ხარჯები	24
ფინანსური ხარჯები	24
გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	24
ფინანსური რისკის მართვა	24
ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	25
ნაშთები და ოპრაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27
მმართველობის ანგარიშგება	27

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ემტექნიკის“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ემტექნიკის“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებს, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, როგორც ამას მოითხოვს „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ („IESBA“) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისათვის.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2020 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოსატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებული ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, განვაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცნობით მმართველობით ანგარიშს, ჩვენ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით ვასკვნით:

- შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას და მოიცავს თუ არა ის არსებით უზუსტობას;
- მოიცავს თუ არა ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს შესწევს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შესძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობა;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი

განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ოთარ ახობაძე

შპს აუდიტორული ფირმა "ალტერ-ეგო"

თბილისი, საქართველო

10 აგვისტო 2021 წელი

განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედეგების თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ოთარ ახობაძე



შპს აუდიტორული ფირმა "ალტერ-ეგო"

თბილისი, საქართველო

10 აგვისტო 2021 წელი



მსს-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	639,137	412,392
არამატერიალური აქტივები	8	228,151	8,519
სულ გრძელვადიანი აქტივები		867,288	420,911
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	14,027,048	7,383,820
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10	2,072,430	3,634,338
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	332,139	796,367
შეზღუდული ფულადი სახსრები		-	14,118
გაცემული სესხები	12	798,282	-
საგადასახადო აქტივი	13	255,488	-
სულ მიმდინარე აქტივები		17,485,388	11,828,644
სულ აქტივები		18,352,676	12,249,555
კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება		2,146,102	2,525,430
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	16	(813,982)	1,481,501
სულ კაპიტალი		1,332,121	4,006,933
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	6,360,017	485,068
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,360,017	485,068
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	2,770,388	1,840,961
მოკლევადიანი სესხები	14	7,890,151	5,785,522
საგადასახდო ვალდებულებები	13	-	131,072
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,660,539	7,757,554
სულ ვალდებულებები		17,020,556	8,242,622
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,352,676	12,249,555

ხელმოწერილი პირები:**დირექტორი:****ირინე გრძელიძე****ფინანსური მენეჯერი:****ნუნუ გოგია**

10 აგვისტო 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვრდებზე 10-27 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვრდებზე 3-5

მსს-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	639,137	412,392
არამატერიალური აქტივები	8	228,151	8,519
სულ გრძელვადიანი აქტივები		867,288	420,911
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	14,027,048	7,383,820
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	10	2,072,430	3,634,338
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	332,139	796,367
შეზღუდული ფულადი სახსრები		-	14,118
გაცემული სესხები	12	798,282	-
საგადასახადო აქტივი	13	255,488	-
სულ მიმდინარე აქტივები		17,485,388	11,828,644
სულ აქტივები		18,352,676	12,249,555
კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება		2,146,102	2,525,430
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)	16	(813,982)	1,481,501
სულ კაპიტალი		1,332,121	4,006,933
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	14	6,360,017	485,068
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,360,017	485,068
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	2,770,388	1,840,961
მოკლევადიანი სესხები	14	7,890,151	5,785,522
საგადასახდო ვალდებულებები	13	-	131,072
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,660,539	7,757,554
სულ ვალდებულებები		17,020,556	8,242,622
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,352,676	12,249,555

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ირინე გრძელიძე



ფინანსური მენეჯერი:

ნუნუ გოგია

10 აგვისტო 2021 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-27 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

მსს-ს მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ამონაგები	17	22,883,643	25,875,565
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(16,683,315)	(20,400,847)
საერთო მოგება		6,200,328	5,474,718
სხვა შემოსავლები	19	619,674	695,715
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(2,862,406)	(2,054,970)
მიწოდების ხარჯები	21	(642,029)	(619,720)
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	22	(2,398,873)	(1,090,342)
სხვა ხარჯები	23	(545,453)	(309,155)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		371,241	2,096,247
ფინანსური ხარჯი	24	(827,024)	(508,911)
მოგება დაბეგვრამდე		(455,783)	1,587,336
მოგების გადასახადი		(358,199)	(105,835)
წლის მოგება/(ზარალი)		(813,982)	1,481,501
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		(813,982)	1,481,501

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ირინე გრძელიძე

ფინანსური მენეჯერი:

ნუნუ გოგია

10 აგვისტო 2021 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვრდებზე 10-27 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვრდებზე 3-5

მსს-ს მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ამონაგები	17	22,883,643	25,875,565
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18	(16,683,315)	(20,400,847)
საერთო მოგება		6,200,328	5,474,718
სხვა შემოსავლები	19	619,674	695,715
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(2,862,406)	(2,054,970)
მიწოდების ხარჯები	21	(642,029)	(619,720)
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	22	(2,398,873)	(1,090,342)
სხვა ხარჯები	23	(545,453)	(309,155)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		371,241	2,096,247
ფინანსური ხარჯი	24	(827,024)	(508,911)
მოგება დაბეგვრამდე		(455,783)	1,587,336
მოგების გადასახადი		(358,199)	(105,835)
წლის მოგება/(ზარალი)		(813,982)	1,481,501
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისთვის		(813,982)	1,481,501

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ირინე გრძელიძე

ფინანსური მენეჯერი:

ნუნუ გოგია

10 აგვისტო 2021 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვარდება 10-27 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვარდებაზე 3-5

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	3,135,406	3,135,406
პერიოდის შედეგი	-	1,481,501	1,481,501
გაცემული დივიდენდი		(609,976)	(609,976)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		4,006,933	4,006,933
პერიოდის შედეგი	16	(813,982)	(813,982)
გაცემული დივიდენდი		(1,860,831)	(1,860,831)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,332,121	1,332,121

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ირინე გრძელიძე

ფინანსური მენეჯერი:

ნუნუ გოგია

10 აგვისტო 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-27 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	3,135,406	3,135,406
პერიოდის შედეგი	-	1,481,501	1,481,501
გაცემული დივიდენდი		(609,976)	(609,976)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		4,006,933	4,006,933
პერიოდის შედეგი	16	(813,982)	(813,982)
გაცემული დივიდენდი		(1,860,831)	(1,860,831)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,332,121	1,332,121


ხელმოწერი პირები:

დირექტორი:

ირინე გრძელიძე

ფინანსური მენეჯერი:

ნუნუ გოგია





10 აგვისტო 2021 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-27 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (ზარალი)/მოგება გადასახადით დაბეგრამდე	31-დეკ-2020 (455,783)	31-დეკ-2019 1,587,336
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	129,599	75,340
უსასყიდლოდ მიღებული	(10,997)	(689,136)
ფინანსური ხარჯი	918,187	508,911
საპროცენტო შემოსავალი	(91,162)	
მოგება ზარალი საკურსო სხვაობიდან	2,398,873	1,090,342
მოგება(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1,026	(4,359)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	2,889,743	2,568,434
სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		
ცვლილებები:		
ცვლილება მარაგებში	(6,643,228)	(3,383,352)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,561,909	(367,170)
მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე	(707,120)	-
საგადასახადო აქტივები	(255,488)	362,698
საგადასახადო ვალდებულება	(131,072)	131,072
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	929,427	595,089
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(1,648,709)	(224,301)
გადახდილი პროცენტები	(918,187)	(514,158)
გადახდილი მოგების გადასახადი	(358,199)	(77,203)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,925,095)	(815,662)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(221,156)	(1,045)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(366,246)	(250,113)
გაცემული სესხები	(943,539)	-
მიღებული პროცენტები	91,162	-
ძირ საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	13,419	14,448
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,426,360)	(236,710)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების ზრდა	28,993,073	20,260,483
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(23,320,349)	(18,282,232)
გადახდილი დივიდენდი	(1,860,831)	(609,976)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,811,893	1,368,275
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(539,562)	315,903
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	796,367	400,098
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	75,334	80,366
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	332,139	796,367

დირექტორი: ირინე გრძელიძე

ფინანსური მენეჯერი: ნუნუ გოგია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
(ზარალი)/მოგება გადასახადით დაბეგრამდე	(455,783)	1,587,336
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	129,599	75,340
უსასყიდლოდ მიღებული	(10,997)	(689,136)
ფინანსური ხარჯი	918,187	508,911
საპროცენტო შემოსავალი	(91,162)	
მოგება ზარალი საკურსო სხვაობიდან	2,398,873	1,090,342
მოგება(ზარალი) ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1,026	(4,359)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	2,889,743	2,568,434
სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		
ცვლილებები:		
ცვლილება მარაგებში	(6,643,228)	(3,383,352)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	1,561,909	(367,170)
მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე	(707,120)	-
საგადასახადო აქტივები	(255,488)	362,698
საგადასახადო ვალდებულება	(131,072)	131,072
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	929,427	595,089
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(1,648,709)	(224,301)
გადახდილი პროცენტები	(918,187)	(514,158)
გადახდილი მოგების გადასახადი	(358,199)	(77,203)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,925,095)	(815,662)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
არამატერიალური აქტივების შეძენა	(221,156)	(1,045)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(366,246)	(250,113)
გაცემული სესხები	(943,539)	-
მიღებული პროცენტები	91,162	-
ძირ საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	13,419	14,448
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,426,360)	(236,710)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	28,993,073	20,260,483
სასესხო ვალდებულების დაფარვა	(23,320,349)	(18,282,232)
გადახდილი დივიდენდი	(1,860,831)	(609,976)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	3,811,893	1,368,275
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	(539,562)	315,903
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	796,367	400,098
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	75,334	80,366
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	332,139	796,367

დირექტორი: ირინე გრძელიძე

ფინანსური მენეჯერი: ნუნუ გოგია

10 აგვისტო 2021 წ.
თბილისი, საქართველო

1. შესავალი

ა. ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

ბ. ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ემტექნიკსი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, როგორც ამას განმარტავს „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2013 წლის 7 მარტს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფელი დიდოში, ფარსადანის ქ. N:7

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის: ავეჯის და სამომხმარებლო ტექნიკის იმპორტირება და რეალიზაცია კორპორატიულ და საცალო მომხმარებლებთან როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე უცხოურზე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სამ მალაზიას ფლობს.

ავეჯის სახლი „ბელჰაუსი“ ევროპის 4 ქვეყნიდან (ბელორუსია, იტალია, პოლონეთი და უკრაინა) ახდენს ავეჯის იმპორტირებას. ბელჰაუსი არის ქარხნების Fameg, Gamma, Paged, Dommino, Maridex, Molodechnomebel, Sznaka, Rondo, Mayerline, Bydgoskie, Swarzedzhome, Klose, Brw, Kler, Vileykamebel, Korsak, Vero, Laguna, Zov, Zlatamebel-ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. მიღმა მსოფლიოში წამყვანი ტექნოლოგიური ჯგუფია სამომხმარებლო ტექნიკასა და HVAC სისტემებში.

კომპანია მთლიანად ეკუთვნის და კონტროლდება კახა გაბრიჭიძეს მიერ, რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს კომპანიის ტრანზაქციები მისი პირადი გადაწყვეტილებით და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „მსს ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („GEL“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და რომელშიც მოცემული ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	2020	2019
1USD/GEL	2.766	2.8677
1EUR/GEL	4.0233	3.2095

4. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე აქტივები მის მიმდინარე ვალდებულებებზე 6,832,830 ლარით მეტია. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის რეალიზაცია მიუხედავად პანდემიისა მკვეთრად გაიზარდა და ასევე გაიზარდა კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალიც. ამ გარემოების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო მომავალშიც განაგრძობს თავის საქმიანობას და არ არსებობს რაიმე პირობა ან გარემოება რომელიც ხელს შეუშლის კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი და დაკმაყოფილდა იმით, რომ კომპანია ფლობს შესაბამის რესურსებს ბიზნესში დასარჩენად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ მოსაზრების გამოსახატავად, ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობები და გეგმები და გაითვალისწინა საოპერაციო და საბაზრო ფაქტორები, მათ შორის კოვიდ-19-ის გავლენა, რისკები და შესაძლებლობები.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ა. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ბ. უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, სამუშაო ვალუტაში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში და რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში იმ თარიღის კურსით, როდესაც მოხდა რეალური ღირებულების განსაზღვრა. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადაყვანილია სამუშაო ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

(გ) ძირითადი საშუალებები

ა. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების ანარიცხი. თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება მოიცავს მასალების, შრომითი და სხვა ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯების ღირებულებას, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე აქტივის დემონტაჟის, მოცილების და მოსწორების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ქონების და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. რომელიმე ზემოთ მითითებული ინდიკატორის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც აქტივის გასაყიდი ღირებულებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შესაბამის ვითარებაში შებრუნდება, თუ აღდგომა მოხდება ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები.

ბ. შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების კომპონენტის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ იგი უზრუნველყოფს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები აისახება მოგება ან ზარალში გაწვევითანავე.

გ. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით შექმნილ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა გაანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ზოგადად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის მიხედვით, აქტივების თითოეული ნაწილისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განვითარებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

სატრანსპორტო საშუალებები	3-6
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5-6
მანქანა დანადგარები	2-5
კომპიუტერული ტექნიკა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-9

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ე. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას სესხებად და მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

1. არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სესხებსა და მოთხოვნებს თავდაპირველად აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის იმ თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ხელშეკრულების უფლებები აქტივისგან წარმოქმნილ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი, რომელიც შექმნილია ან რომელსაც ფლობს კომპანია, აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კომპანიისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი

ნაკადების ამოღების მიზნით და

- ფინანსური აქტივის სახელმეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას მას შემდეგ, რაც დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა მის სახელმეკრულებო ვალდებულებებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გადაფარვა და წმინდა თანხებით წარდგენა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კომპანიას გააჩნია აღნიშნული გადაფარვის სამართლებრივი საფუძველი და განზრახული აქვს მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და

ვალდებულების დაფარვა. კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული უფლება ურთიერთგადაფარვაზე, თუ ეს უფლება არ არის მომავალში მოსახდენ ფაქტზე დამოკიდებული და განხორციელებადია ჩვეულებრივი

საქმიანობის პირობებში და კომპანიის თუ ყველა ჩართული მხარის დეფოლტის, გადახდისუნარობის ან გაკოტრების დროს.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები განეკუთვნება ფინანსური აქტივების კატეგორიას, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც რეალურ ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხები და მოთხოვნები იზომება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს შემდეგ ფინანსური აქტივების ჯგუფებს: სავაჭრო მოთხოვნები როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 11 და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან როგორც წარდგენილია შენიშვნაში 12.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და საბანკო ნაშთებს მიმდინარე ანგარიშებზე, სამი ან ნაკლებთვიანი დაფარვის ვადით.

2. არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

კომპანია ახდენს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. მსგავსი ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციული დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზირებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავენ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

3. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

დ. გაუფასურება

1. არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით, მათ შორის კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები, ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად ითვლება, თუ ობიექტური მტკიცებულება მიუთითებს, რომ აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ მოხდა ისეთი მოვლენები, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია აქტივიდან მისაღებ იმ შეფასებულ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შესაძლო ობიექტური მტკიცებულებებია:

- მოვალის მხრიდან ვადაგადაცილება ან საერთოდ უარის თქმა ვალის დაფარვაზე;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისა და ისეთი პირობებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში კომპანიის მიერ არ იქნება განსაზღვრული;
- დებიტორის ან ფასიანი ქაღალდების გამომშვების გაკოტრების საფრთხის არსებობა;
- კომპანიაში შემავალი მსესხებულების გადახდის მაჩვენებელში უარყოფითი ცვლილებები;

- გადაუხდელობასთან დაკავშირებული ეკონომიკური პირობები;
- ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობა; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მოსალოდნელია ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანიის სესხების და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს, როგორც ცალკეულ, ასევე ჯგუფურ დონეზე. ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხი და მოთხოვნა მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე ყველა სესხზე და მოთხოვნაზე, რომელზედაც კონკრეტული გაუფასურება ჯერ არ არის დადგენილი, ხორციელდება გაუფასურების ჯგუფური შეფასება იმ ნებისმიერი სახის ზარალის დასადგენად, რომელიც მოხდა, მაგრამ ჯერ არ არის გამოვლენილი.

ის სესხები და მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის, ფასდება ჯგუფურად გაუფასურებაზე რისკის საერთო მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურების ჯგუფური შეფასების დროს, კომპანია იყენებს საექსპო ვალებთან დაკავშირებით წინა წლებში დაგროვილ გამოცდილებას, მათი ამოღების დროსა და დანაკარგებთან დაკავშირებულ ალბათობებს. ეს ალბათობები კორექტირდება ხელმძღვანელობის მოსაზრების მიხედვით, კერძოდ, არის თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო მდგომარეობა ისეთი, რომ რეალური წაგება შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს ისტორიული მონაცემების მიხედვით შეფასებულ რაოდენობაზე.

გაუფასურების ზარალი გაანგარიშდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და აისახება მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. როდესაც ჯგუფი მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის ამოღების რეალური პერსპექტივები, ჩამოიწერება შესაბამისი თანხები. გაუფასურების აქტივის პროცენტის აღიარება გრძელდება განმუხტვის ფასდაკლების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენები იწვევს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შემცირებას და ეს მოვლენა ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე აისახება შებრუნებული სახით.

1. არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგები) გადაიხედება ანგარიშგების წარდგენის ყოველი თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების ტესტის მიზნით, აქტივები რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების შემოღინების წარმოქმნას განგრძობითი სარგებლობისთვის, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოღინებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისგან (CGU).

კომპანიის კორპორაციული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორაციული აქტივები მიეკუთვნება ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულს გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორაციული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ან ზარალში. ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი თავდაპირველად დაერიცხება აქტივის ერთეულს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე და შეამცირებს ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულში შემავალი სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი უკუგატარებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

(ზ) საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია არის მოიჯარე იჯარაში, რომელშიც მოიჯარე კომპანიას არ გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მთლიანი საიჯარო გადასახდელები ირიცხება წლის მოგებაზე ან ზარალზე წრფივი დარიცხვის მეთოდით, საიჯარო ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა შეუქცევადი პერიოდია, რომლისთვისაც მოიჯარემ გააფორმა აქტივის იჯარის ხელშეკრულება, ნებისმიერ სხვა პირობასთან ერთად, რომლითაც მოიჯარეს აქვს აქტივის იჯარის გაგრძელების ვალდებულება, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის ამოწურვისას არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამგვარი ფუნქციით.

(თ) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში მოგებაში ან ზარალში.

ი) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. გარკვეული დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებული ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებული ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახდელი ოდენობით.

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო უწყებები დღგ-ს გადახდას წმინდა საფუძველზე უშვებს, კონკრეტული შეზღუდვებით.

(კ) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი პრინციპის საფუძველზე და ის მოიცავს ნასყიდობის ღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

(ლ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლის მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

(მ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად კომპანიას დღეისათვის აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება ფინანსურ ხარჯად.

(ნ) ამონაგები

გაყიდული საქონელი

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შეფასებულია მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, წმინდა უკუგებით, სავაჭრო ფასდაკლებების და მოცულობითი ფასდაკლების გათვალისწინებით. შემოსავალი აღიარდება როდესაც დამატებული მტკიცებულებები არსებობს, ჩვეულებრივ როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულება, რაც ნიშნავს რომ მნიშვნელოვანი მფლობელობის რისკი და სარგებელი გადასულია მომხმარებელზე, მისაღები თანხების ანაზღაურება შესაძლებელია, დაკავშირებული ხარჯები და საქონლის შესაძლო დაბრუნების ალბათობის შეფასება სანდოა, საქონელთან დაკავშირებით მენეჯმენტის ჩართულობის გაგრძელება აღარ ხდება, და შემოსავლის ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. თუ სავარაუდოა რომ ფასდაკლება იქნება გაცემული, და მისი თანხობრივად შეფასება საიმედოაა შესაძლებელი, მაშინ ფასდაკლება აღიარდება როგორც შემოსავლის შემცირება გაყიდვის აღიარებისას, როდესაც მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა.

მომსახურება

შემოსავალი მომსახურების გაწვიდან აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწვისას.

(ო) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოების ვალდებულება შეფასებულია არადისკონტირებულ საფუძველზე და აღიარდება ხარჯად დაკავშირებული სერვისის მიწოდებასთან

ერთად. ვალდებულება აღიარებულია მოსალოდნელი ღირებულებით, რაც გადახდილ იქნება მოკლევადიანი ფულადი ბონუსის სახით თუ კომპანიას აქვს მიმდინარე საკონტრაქტო ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ გადაიხადოს ეს თანხა და წარსულში მიწოდებული სერვისის შედეგად დაქირავებულის მხრიდან და ვალდებულებაც შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

6. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც მოქმედებენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს შემდეგს:

(ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მსჯელობებზე. აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი უმეტესად სარგებლობის პროცესში გამოიყენება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორც არის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელი აფასებს დარჩენილ სასარგებლო გამოყენების ვადას, აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და იმ შეფასებული პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივებზე კომპანიისთვის სარგებლის მიღება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვლილების კოეფიციენტების დაკორექტირება.

(ბ) უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტების სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგისა ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

(გ) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობები გამოიყენება იმის განსაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

7. ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარე ბი	საოფისე აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა მოწყობილ ობები	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყო ბა	სულ
თვითღირებულება						
2019 წლის 1 იანვარს	9,915	22,101	36,998	204,133	37,963	311,110
შესყიდვები	-	9,508	148,516	92,089	-	250,113
გასვლა	-	-	-	(270,060)	-	(270,060)
2019 წლის 31 დეკემბერს	9,915	31,610	185,514	269,163	37,963	534,164
შესყიდვები	572	16,479	70,666	115,527	163,001	366,246
გასვლა	-	-	(975)	(12,445)	-	(13,419)
2020 წლის 31 დეკემბერს	10,487	648,088	255,205	372,245	200,965	886,991
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის 1 იანვარს	(666)	(9,041)	(15,980)	(28,480)	(10,312)	(64,479)
ცვეთა წლის განმავლობაში	(1,983)	(5,549)	(18,020)	(43,019)	(5,694)	(74,265)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-	-	16,970	16,970
2019 წლის 31 დეკემბერს	(2,649)	(14,589)	(34,000)	(54,529)	(16,006)	(121,773)
ცვეთა წლის განმავლობაში	(2,002)	(6,555)	(41,322)	(66,388)	(11,807)	(128,074)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	757	1,231	-	1,988
2020 წლის 31 დეკემბერს	(4,651)	(21,144)	(74,565)	(119,686)	(27,813)	(247,859)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 1 იანვარს	9,249	13,060	21,018	175,653	27,651	246,631
2019 წლის 31 დეკემბერს	7,266	17,021	151,514	214,634	21,957	412,391
2020 წლის 31 დეკემბერს	5,836	26,945	180,640	252,559	173,152	639,137

8. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	არამატერიალური აქტივი (იმიჯი)	სულ
ბალანსი 31-დეკ-2019	12,892		12,892
შეძენა	9,292	211,864	221,156
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31-დეკ-2020	22,184	211,864	234,048
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2019	(4,372)	-	(4,372)
ამორტიზაციის ხარჯი	(1,525)	-	(1,525)
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2020	(5,897)	-	(5,897)
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2019	8,550		8,520
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2020	16,287	211,864	228,152

9. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
საქონელი	13,237,137	6,575,651
საქონელი გზაში	780,900	807,356
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	9,011	814
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	14,027,048	7,383,820

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას ფლობს გასაყიდად გამიზნულ მარაგებს. კომპანიის ბალანსში აღიარებული მარაგების უდიდეს ნაწილს საქონელი შეადგენს. მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	905,196	2,146,824
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	1,167,234	1,487,514
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,072,430	3,634,338

სავაჭრო მოთხოვნები მიმდინარეა და არ შეიცავს ხანდაზმულ დებიტორებს, ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის რწმენით სავაჭრო მოთხოვნების აღიარებულ ოდენობასა და მათ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	51,322	37,908
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	191,770	346,268
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	89,047	412,190
ფული სხვა საბანკო ანგარიშზე(შეზღუდული ფული)	-	14,118
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	332,139	810,485

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

12. გაცემული სესხები

კომპანიას აქვს გაცემული გრძელვადიანი სესხები შპს მეგაიქსზე. ამასთანავე აქვს აღიარებული ამ სესხთან დაკავშირებული მისაღები პროცენტები

გაცემული სესხები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მისაღები პროცენტები	91,162	-
მოთხოვნა გრძელვადიან სესხებზე	707,120	-
სულ გაცემული სესხები	798,282	-

13. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
გადასახდელი მოგების გადასახდი	(19,559)	(29,456)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(2,898)	(2,539)
გადასახდელი დღგ	279,016	(85,326)
გადახდილი დღგ	(3,020)	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(1962)	(13,750)
სულ საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	255,488	(131,072)

14. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	7,890,151	485,068
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6,360,017	5,785,522
სულ სასესხო ვალდებულებები	14,250,167	6,270,589

ცვლილებები სასესხო ვალდებულებებში წარმომადგენელი ფინანსური საქმიანობიდან

	სესხები
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,270,589
სესხის აღება	28,993,073
სესხის დაფარვა	(23,320,349)
უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ეფექტი	(2,306,854)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,250,167

კომპანიას აქვს აღებული 6,714,631-ექვსი მილიონ შვიდას თოთხმეტი ათას ექვსას ოცდათერთმეტი აშშ დოლარში და 2,592,200 - ორი მილიონ ხუთას ოთხმოცდათორმეტი ათას ორასი ევროში ღენომინირებული საბანკო სესხები კომერციული ბანკებიდან თავისი ოპერაციების დასაფინანსებლად. ყველა საბანკო სესხი

უზრუნველყოფილია საწარმოს მარაგებით, დებიტორული დავალიანებით და დამფუძნებლის კუთვნილი უძრავი ქონებით.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2,421,856	1,733,361
გადასახდელი ხელფასები	7,971	7,333
ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე	59,345	69,708
მიღებული ავანსები	281,216	30,559
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,770,388	1,840,961

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

16. კაპიტალი

ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ თანხას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში

ბ) დივიდენდი

კომპანიის მფლობელი უფლებამოსილია დივიდენდის მიღებაზე, მათი გამოცხადებისას გარკვეული პერიოდულობით.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი ნაშთი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

2019 წლის განმავლობაში მოხდა 609,976 ლარის დივიდენდის გატანა დამფუძნებლის მიერ, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 4,006,933 ლარი. 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ზარალი 813,982 ლარია, გაცემული იყო 1,860,831 ლარის დივიდენდი აქედან გამომდინარე კომპანიის წმინდა კაპიტალი 1,332,121 ლარი

17. ამონაგები

ამონაგები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	22,811,116	23,936,519
შემოსავალი ექსპორტიდან	286,078	2,188,346
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(376,505)	(279,543)
სხვა	162,955	30,243
სულ ამონაგები	22,883,643	25,875,565

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ დაამატა ავეჯის ხაზი. მისი ძირითადი შემოსავლის წყაროს ტექნიკის და ავეჯის რეალიზაცია წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია მომსახურებები რომლებსაც კომპანია სთავაზობს თავის მომხმარებელს.

18. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
გაყიდული/შეძენილი საქონელი	16,949,789	20,613,963
მარაგების კორექტირება	(266,474)	(213,116)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16,683,315	20,400,847

19. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები	577,776	689,136
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი	(10,405)	4,359
სხვა არასასაქონლო შემოსავალი	51,534	2,220
სულ სხვა შემოსავლები	619,674	695,715

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს შრომის ანაზღაურების, საიჯარო ქირის და რეკლამის ხარჯები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
რეკლამის ხარჯები	263,059	426,014
შრომის ანაზღაურება	1,382,918	959,082
საიჯარო ქირა	662,444	235,305
ცვება და ამორტიზაცია	129,599	75,341
ბანკის საკომისიო ხარჯი	89,094	33,662
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	25,989	-
საპენსიო ხარჯი	35,689	21,751
საშემოსავლოთი დაბეგრილი მომსახურების ხარჯები	74,382	33,956
რემონტის ხარჯი	16,208	352
დაზღვევის ხარჯი	33,802	21,580
საწვავის ხარჯები	9,841	6,720
საკონსულტაციო და მომსახურების ხარჯები	16,500	22,324
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	19,631	66,135
კომპიუტერის, პროგრამული უზრუნველყოფის და აიტი მომსახურების ხარჯები	37,400	29,313
სხვა ხარჯები	65,850	123,436
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,862,406	2,054,970

21. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
შრომის ანაზღაურება	372,813	151,845
ავთვის და ტექნიკის მიწოდების ხარჯები	11,650	5,133
სერვის ცენტრის მომსახურება	163,555	404,516
ავტომობილის შეკეთების ხარჯები	28,438	-
საწვავის ხარჯები	45,292	24,350
სხვა მიწოდების ხარჯები	20,282	33,876
სულ მიწოდების ხარჯები	642,029	619,720

22. საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	10,129,290	3,472,379
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(12,528,163)	(4,562,721)
სულ საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(2,398,873)	(1,090,342)

23. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი	257,210	231,849
ინვენტარიზაციით აღმოჩენილი დანაკლისი	158,614	-
საგარანტიო მომსახურების ხარჯი	67,874	104,550
უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლი	41,588	18,986
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20,176	58,319
სულ სხვა ხარჯები	545,453	413,704

24. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
საპროცენტო შემოსავლები	91,163	-
საპროცენტო ხარჯები	918,187	508,911
სულ ფინანსური ხარჯი	827,024	508,911

25. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს, ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნას მიჩნეული შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცვენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. თუმცა, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მათ მიერ გამოყენებული საგადასახადო ინტერპრეტაციები გონივრული, სამართლიანი და სწორია და კომპანია არ დგას დამატებითი გადასახადებისა თუ ჯარიმების დარიცხვის რისკის წინაშე.

26. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, არის სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სხვა დებიტორული დავალიანება და ნაღდი ფული ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების რისკზე უმეტესად კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს (როდესაც კომპანიის შემოსავალი და ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსური ვალდებულებებს უკავშირდება, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის სამართლის ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხების დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გამჟღავნებული ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური განსჯის გამო, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამართლიანი ღირებულება დაუყოვნებლის რეალიზებადია აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვისას. კომპანიის ყველა აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 ს დონით ფასდება.

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) თანახმად, მხარეები ზოგადად დაკავშირებულად მოიაზრებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო

კონტროლს ან ერთერთ მხარეს შესწევს მეორეზე კონტროლის განხორციელების უნარი, ან შეუძლია ისარგებლოს მნიშვნელოვანი გავლენით, ან ერთობლივი კონტროლით სხვა მხარეზე, ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:
კომპანიას აქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი შემდეგი ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

საქონლის მიწოდება	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მაკონტროლებელი მხარე	11,569	8,145
სხვა დაკავშირებული მხარეები	921,520	103,501
სულ საქონლის მიწოდება	933,089	111,646

მომსახურების შეძენა	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მაკონტროლებელი მხარე	452,402	277,660
სხვა დაკავშირებული მხარეების	651,339	602,628
სულ მომსახურების შეძენა	1,103,741	880,288

მოკლევადიანი ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მაკონტროლებელი მხარე	8,172	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	92,866	48,492
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	101,038	48,492

მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მაკონტროლებელი მხარე	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	118,611	225,351
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	101,038	48,492

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
მეგაიქსი	707,120	-
სულ მეგაიქსზე გაცემული სესხები	707,120	-

წამყვანი ხელმძღვანელობისთვის (Key Management) ხელფასის სახით გადახდილი თანხები	31-დეკ- 2020	31-დეკ- 2019
გადახდილი ხელფასები	553,215	480,583
სულ	553,215	480,583

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები
2020 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდა ვირუსი Covid-19, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტის თარიღისთვის პანდემიად იქნა მიჩნეული. აღნიშნული კრიტიკული სიტუაციის სამართავად საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 21 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა. COVID-19-ის შემდგომი გავრცელება საქართველოსა და მთელ მსოფლიოში, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ჯერ ნაადრევია კომპანიის საქმიანობაზე მისი შესაძლო გავლენის სრულად გააზრება. კომპანია კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ დამდგარ, არამაკორექტირებელ მოვლენად მიიჩნევს.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 10 აგვისტოს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ემტექნიკსი“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ემტექნიკსი“-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება მოიცავს შპს „ემტექნიკსი“-ს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შპს „ემტექნიკსი“-ს მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენაზე დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს „ალტერ ეგო“-მ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებს, ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

ოთარ ანობაძე

10 აგვისტო, 2021 წ.

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „ემტექნიკის“-ს მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ემტექნიკის“-ს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. ანგარიშგება მოიცავს შპს „ემტექნიკის“-ს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. შპს „ემტექნიკის“-ს მენეჯმენტი სრულადაა პასუხისმგებელი ამ კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენაზე დადგენილი წესის შესაბამისად.

შპს „ალტერ ეგო“-მ ჩაატარა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგების შემოწმება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოთხოვნილ სტანდარტებს, ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს კომპანიის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებს, ძირითად რისკებს და გაურკვევლობებს.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, თანდართული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შესაბამისია და თანხვედრილია კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან. ანგარიშგება სათანადოდ წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის, მდგომარეობისა და მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რისკების შესახებ ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

მმართველობის ანგარიშგების შემოწმება განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული მარწმუნებელი მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

ოთარ ახობაძე

10 აგვისტო, 2021 წ.

თბილისი, საქართველო



ემტექნიკსის მმართველობის ანგარიშგება
2020 წელი

ემტექნიკსი“

შექმნილია შენი კომფორტისთვის



სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა, განვითარება და მდგომარეობა	29
2. სამომავლო გეგმები	32
3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	32
4. ინფორმაცია ფილიალების შესახებ	32
5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	35
6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შესახებ	35
7. კომპანიის ზოგადი გარემო და რისკ-ფაქტორების შეფასება	35


1. საქმიანობის მიმოხილვა, განვითარება და მდგომარეობა

შპს „ემტექნიკსი“ (შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2013 წლი 7 მარტს. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, სოფელი დიდოში, ფარსადანის ქ. 7, სადაც მდებარეობს კომპანიის სათაო ოფისი, ძირითადი საწყობი და შოურუმი. ავეჯის მაღაზიები წარმოდგენილია შემდეგ მისამართებზე: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ. 14 და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. 98

კომპანიის 100% -ის წილის მფლობელია ფიზიკური პირი კახა გაბრიჭიძე (01010006619).

შპს „ემტექნიკსი“ წარმოადგენს მსოფლიო ბრენდის MIDEA-ს ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. კომპანია ახორციელებს ელექტრო ტექნიკის იმპორტს მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით საცალო ქსელსა და ფრანჩაიზულ მაღაზიათა ქსელში.

შპს „ემტექნიკსი“ ასევე წარმოადგენს ავეჯის იმპორტიორს პოლონეთიდან, ბელორუსიიდან და უკრაინიდან. რომელიც წარმოდგენილია „ბელჰაუსის“ საცალო ქსელის სახით.



ტექნიკის განხრით კომპანიის პროდუქცია წარმოდგენილია შემდეგ კატეგორიებში: კონდიციონერი, სარეცხი მანქანა, მაცივარი, წყლის გამაცხელებელი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა და წვრილი ტექნიკა.



კონდიციონერი



სარეცხის მანქანა



მაცივარი



წყლის გამაცხელებელი



ჭურჭლის სარეცხი მანქანა



წვრილი ტექნიკა



Midea-ს ჯგუფის შესახებ

„მიდეა“ გახლავთ საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და კონდიციონერების სისტემების ბრენდი, რომელიც 50 წელზე მეტია ოპერირებს მსოფლიო ბაზარზე და წარმოადგენს „მიდეა ჯგუფი“-ს ერთ-ერთ მიმართულებას.

„მიდეა ჯგუფი“ აღიარებულია არაერთი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტით, როგორც ინოვაციური მწარმოებელი და ლიდერი ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვაში საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკის მიმართულებით.

გიგანტი მწარმოებელი კომპანიის მიერ დანერგილმა ტექნოლოგიებმა, განაპირობა ისეთი მსხვილი ბრენდების დაინტერესება როგორებიცაა: BOSCH, GORENJE, SAMSUNG, ELECTROLUX. „მიდეა ჯგუფის“ წარმოების მიმართ დაინტერესება და ნდობა გამოწვეულია იქიდან გამომდინარე, რომ ქარხნები სრულიად ავტომატიზირებულია და გამოყენებულია 80% რობოტექნიკა, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს სერიულ ხარვეზებს წარმოებაში.

ბიზნესის მთავარი მახასიათებელი, ინოვაციური მიდგომაა უკეთესი ცხოვრებისთვის. კომპანია მსოფლიოს 190 ქვეყანაში 21 საწარმოო ხაზითა და 260 ლოგისტიკური ცენტრითაა წარმოდგენილი.

მიდეას საიმიჯო ვიდეორგოლი: <http://midea.ge/ka/videos/1/#lg=1&slide=5>

Midea მოწოდებულია ცხოვრების გაუმჯობესებისთვის, მისი მთავარი ამოცანაა ყურადღება გაამახვილოს ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების გაუმჯობესებაზე, რათა მომხმარებლის ცხოვრება უფრო მარტივი, კომფორტული და სასიამოვნო გახადოს.

მიდეას ბრენდი ზრდასთან ერთად, უამრავი წარმატებისა თუ ჯილდოს მფლობელი გახდა. მიდეას დიზაინი ყოველწლიურად 40-ზე მეტ ჯილდოს იგებს ისეთ პრესტიჟულ, გლობალურ შოუებზე როგორებიცაა: “RED DOT” “IF” და “GOOD DESIGN AWARD”.

საქართველოში ტექნიკის განხრით, კომპანია წარმოდგენილია როგორც მონობრენდული, „Midea“-ს (მიდეა) ბრენდის დისტრიბუტორი. საწყის ეტაპზე კომპანიის ძირითადი ბიზნეს მოდელი იყო ელექტრო საყოფაცხოვრებო ტექნიკით საბითუმო ვაჭრობა. თუმცა კომპანია სამომავლოდ გეგმავს საკუთარი საცალო ქსელის გავითარებას და ბაზარზე პოზიციონირების კიდევ უფრო მეტად გამყარებას. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მარტიდან, კომპანიამ დაიწყო ონლაინ მაღაზიით რეალიზაცია.

საქართველოს მასშტაბით კომპანიას გააჩნია 1 საკუთარი (ფარსადანის ქ. 7) შოურუმი და 3 ფრანჩიზული მაღაზია (ქუთაისი, გურჯაანი თელავი). ფრანჩიზულ მაღაზიებში პროდუქცია, მომსახურება, საგარანტიო პირობები და ფასები კონტროლდება სახელმწიკრულებო ვალდებულებებით, რის გამოც მომხმარებლისთვის განსხვავება ამ ორი ტიპის მაღაზიებს შორის არ არსებობს. კომპანია დიდი უპირატესობით სარგებლობს კონკურენტებთან შედარებით საცალო ქსელების მხრიდან პარტნიორული თვალსაზრისით დაინტერესების კუთხით. რადგან „ემტექნიკს“-ის პოლიტიკა აძლევს მათ საშუალებას საკმაოდ კონკურენტული მარჟით იმუშაონ.



2020 წლის დასაწყისში შპს „ემტექნიკსი“ დაამატა ახალი ხაზი ავეჯის განხრით. მან შეიძინა საქართველოს ბაზარზე არსებული ერთ-ერთი ცნობადი, მაღალ სეგმენტზე გათვლილი ბრენდი-„ბელჰაუსი“, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს უმაღლესი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და დახვეწილი დიზაინის მქონე ინტერიერის და ექსტერიერის ავეჯს. ჩვენი მაღაზიების ქსელში წარმოდგენილია ბელორუსული, პოლონური, იტალიური და უკრაინული ავეჯი და ვართ ისეთი მწარმოებლების ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, როგორებიც არიან: Molodechnomebel (ბელორუსია), Vileiskaya Mebel (ბელორუსია), Laguna (ბელორუსია), Black Red White - BRW (პოლონეთი), Zov (ბელორუსია), Zlata, Dommino (იტალია, წარმოება უკრაინა), Kler (პოლონეთი), Vero (იტალია, წარმოება პოლონეთი), Klose (გერმანია, წარმოება პოლონეთი), Szynaka (პოლონეთი).

„ბელჰაუსი“ მომხმარებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის სერვისს, რომელიც ორიენტირებულია მომხმარებელზე. მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა შეუკვეთოს სასურველი მოდელი, ფერისა და მასალის შერჩევით. ჩამოტანის ვადა არის 2 თვე.

კომპანია მუდმივად ზრუნავს საკუთარი მომხმარებლის კომფორტზე, ითვალისწინებს მის მოთხოვნებს და სურვილებს, სთავაზობს მას მაღალი ხარისხის და დახვეწილი დიზაინის ავეჯს მიაღებ ფასად.

სალონებში წარმოდგენილია მასიური ხის (მოხარშული მუხა და მოხარშული კაკალი), მაღალი ხარისხის ტყავის, მდფ-ის (მერქან-ბოჭკოვანი დაპრესილი ფილა), ლამინატის, ნაჭრის, დსპ-ის (დაპრესილი მერქან-ბურბუქლოვანი ფილა) და თითქმის ყველა მასალის ავეჯი, რომელიც მზადდება გერმანული დანადგარებით და იტალიური ტექნოლოგიით.

2. სამომავლო გეგმები

კომპანია მნიშვნელოვანია როგორც მისი რენტაბელობის გაძლიერება, ასევე ბრენდის სანდოობის ამაღლება. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ადგილზე მიწოდების სერვისს, საქონლის შეძენის შემდგომ მომსახურებას, საგარანტიო პირობებს. კომპანია აქცენტირებას აკეთებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა ენერგო-ეფექტურობა და ეკოლოგიაზე ზრუნვა.

კომპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და სამომავლო გეგმაა Midea-ს ბრენდის საქონლის ასორტიმენტის ზრდა, რაც თავის მხრივ განპირობებულია ბრენდის ლოიალობის ზრდით მომხმარებლებში.

2020 წლის დასაწყისიდან COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, ყველა ბიზნესი გამოწვევების წინაშე დადგა. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს. პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გამო კომპანიას შეუფერხდა ვაჭრობა, თუმცა მიუხედავად ამისა, კომპანიამ მოახერხა გაეფორმებინა რამოდენიმე გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა კომპანიის სტაბილურ შემოსავალს. ხელმძღვანელობას მიგვაჩნია, რომ ყველა საჭირო და ჯეროვანი ზომა გვაქვს მიღებული კომპანიაზე COVID-19-ის პანდემიის გავლენის შესასუსტებლად. ეს გარემოება დაადასტურა განვლილმა პერიოდმა, რადგან კომპანია ფუნქციონირებს ისეთ ბიზნესში, რომელიც საკმაოდ მაღალი მოთხოვნადობით ხასიათდება სამომხმარებლო ბაზარზე. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივების შეფასება და აგრძელებს ყველა მიმდინარე პროექტებს.

2020 წლის მნიშვნელოვანი მიღწევაა საიტის შექმნაზე მუშაობის დაწყება (www.midea.ge), რაც წაახალისებდა ონლაინ ვაჭრობას. აღსანიშნავია რომ ეს პროექტი განხორციელდა USAID-ის თანადაფინანსებით.



3. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2020 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

4. ინფორმაცია ფილიალების შესახებ

შპს „ემტექნიკს“-ს არ გააჩნია დაფუძნებული შვილობილი კომპანიები ან/და ფილიალები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ.

კომპანიის შემადგენლობაში შედის შემდეგი ობიექტები:

შოურუმი. 1 სართულზე, საწრმოდგენილია Midea-ს ბრენდის ტექნიკის საცალო მაღაზია, სადაც მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა დაათვალიეროს და შეიძინოს სრული ასორტიმენტი. შოურუმის გვერდზე მდებარეობს საწყობი, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, მაშინვე წაიღოს საქონელი. მომხმარებელს ასევე შეუძლია ისარგებლოს უფასო მიტანის სერვისით თბილისის მასშტაბით.

ქ. თბილისი, ფარსადანის ქ. 7



ავჯის მაღაზიები. ბელჰაუსის მაღაზიებში მომხმარებელს შეუძლია დაათვალიეროს და შეიძინოს ადგილზე წარმოდგენილი ავეჯი. ასევე ვთავაზობთ ავეჯის შეკვეთას კატალოგების მიხედვით, როგორც სხვადასხვა ბრენდის, ისე ფერისა და მასალის მიხედვით.

ქ.თბილისი, ცინცაძის ქ. 14



ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. 98



5. კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს „ემტექნიკსი“ წლების მანძილზე წარმატებით იპყრობს ბაზარს და იმკვიდრებს მნიშვნელოვან ადგილს საყოფაცხოვრებო ტექნიკით ვაჭრობაში. კომპანიის ძირითადი პროდუქტის, კონდიციონერის მიხედვით, კომპანიის ზრდის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

2015-2020 წლების ფინანსური მონაცემები კონდიციონერის განხრით:



შპს ემტექნიკსის გაყიდვებში მნიშვნელოვანი წილი უკავია ასევე სარეცხი მანქანების გაყიდვებს.

2018-2020 წლების ფინანსური მონაცემები სარეცხი მანქანების (ცალი) განხრით



ფინანსური მაჩვენებლები:

2019-2020 წლებში მარაგების ზრდა უმეტესწილად განპირობებულია მენეჯმენტის მოლოდინით, რომ 2020 წელს გაყიდვები კიდევ უფრო გაიზრდებოდა. შესაბამისად მოხდა მსხვილი შესყიდვები, რომელიც

მომწოდებლის მიერ წახალისებულ იქნა დამატებითი ფასდაკლებით. თუმცა 2020 წლის კოვიდი-19 ის პანდემიამ, განაპირობა გაყიდვების შემცირება და შესაბამისად მარაგების სიჭარბე.

თუმცა აღსანიშნავია, რომ რადგან ჩვენ მარაგებს არ ახასიათებთ მალეფუჭებადობა ან სწრაფი ტექნოლოგიური მოძველება, მარაგების შენახვის პერიოდის ზრდა უარყოფითად შეიძლება აისახოს მხოლოდ დასაწყობების კუთხით. ლოჯისტიკის სამსახურმა უზრუნველყო საქონლის ისე დასაწყობება, რომ დამატებითი ფართების დაქირავების საჭიროება არ დამდგარა.

დასახელება	2020	2019	2018	აღწერა
შემოსავალი / Revenue	22,883,643	25,875,565	19,841,225	კომპანიის 2020 წლის შემოსავლის შემცირების ძირითად ფაქტორად საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიება დასახელდა
საერთო მოგება / Gross profit მთლიანი მოგების მარჟა / Gross profit margin	6,200,328 27%	5,474,719 21%	3,984,304 20%	გაიზარდა გაყიდვების მოცულობა ერთეულად გაყიდული საქონლის ღირებულების შემცირების გარეშე, მიუხედავად შემოსავლის შემცირებისა, რამაც საერთო მოგების და მთლიანი მოგების მარჟის ზრდა გამოიწვია.
საოპერაციო მოგება / EBIT	379,222	2,096,247	2,104,931	საოპერაციო მოგება შემცირდა საოპერაციო საქმიანობის შედეგად გაწეული ხარჯების გაზრდის გამო.
მარაგების შენახვის დღეები / Inventory holding period	307	132	92	კომპანია წლის ბოლოს გეგმავს მომავალი წლის მარაგების შესყიდვას .ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა ფაქტორებმა (COVID-19) გამოიწვია გაყიდვების უცარი შემცირება, რაც პირდაპირ კავშირშია მარაგების რაოდენობის გაზრდასთან. გასაყიდი მარაგების მნიშვნელოვანი ზრდა იყო ძირითადი მიზეზი მარაგების შენახვის დღეების გაზრდისა.
დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეები / Receivable collection period	32	72	83	დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეები საგრძნობლად შემცირდა გაუმჯობესებული ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის შედეგად, აღნიშნული ხელს უწყობს დროულად ინფორმაციის მიწოდებას როგორც დებიტორისთვის, ასევე კომპანიის შესაბამისი სამსახურისთვის.
კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღეები / Payable payment period	60	42	34	მომწოდებელთან უკეთესი გადახდის პირობებიდან გამომდინარე გაზრდილია კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღეები.

არაფინანსური მაჩვენებლები:

Midea RAC-მა მიიღო პირველი ევროპული სერტიფიკატი HPWH-სთვის.

Midea RAC (საყოფაცხოვრებო კონდიციონერების სისტემები) წარმოადგენს HVAC-ის ინდუსტრიის კომერციული კონდიციონერების მწარმოებელს და მუდმივად ცდილობს მოწინავე ტექნოლოგიების და ინოვაციური პროდუქტების განვითარებას, ასევე პროდუქციის, ხარისხის, მწარმოებლის და პროდუქციის უსაფრთხოების აკრედიტაციის მიღებას.

2013 წელს Midea RAC -მ მიიღო CE ErP-ს პირველი (ევროსტანდარტის) სერტიფიკატი და TUV SUD ErP Mark-ის სერტიფიკატი TUV SUD-სგან, ტესტირების და აკრედიტაციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჯილდო. ეს ჯილდო წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს Midea RAC-ის მაღალეფექტური ენერგო შენარჩუნების პროდუქტების შემუშავებაში და წარმოადგენს Midea RAC-ის მიერ მიღწეულ ნაბიჯებს ეკოლოგიურად სუფთა და მაღალხარისხიანი პროდუქტების შექმნის შედეგად.

6. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ აქვს საკუთარი აქციები და არც სხვა კომპანიის აქციებს ფლობს

7. კომპანიის ზოგადი გარემო და რისკ-ფაქტორების შეფასება

საქართველოში, ელექტრო ტექნიკის ბაზარს ახასიათებს ძლიერი კონკურენცია, რაც განპირობებულია როგორც კომპანიების რაოდენობით, ასევე ბრენდის, ხარისხის, ფასთა კატეგორიის, არჩევანის მრავალფეროვნებით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ცნობილი ბრენდები, ისე ნაკლებად ცნობადი ან საკუთარი სავაჭრო მარკის მქონე ბრენდებიც.

ელექტრო ტექნიკის ბაზარზე მნიშვნელოვანდ მოქმედებს ტექნოლოგიური ინოვაციები. აქედან გამომდინარე, ბაზარზე ადგილის შენარჩუნების მიზნით, კომპანიებს უწევთ მუდმივად გააახლოონ პროდუქცია და შესთავაზონ მომხმარებელს კონკურენტულ ფასად.

რისკები	რისკების აღწერა და მენეჯმენტის გეგმები და მართვა
საბაზრო რისკი	კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადი მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.
სავალუტო რისკი	სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის საქონელი წარმოადგენს იმპორტირებულ პროდუქტს და შესაბამისად გავლენას ახდენს მის თვითღირებულებაზე. გარდა ამისა, კომპანიას აქვს აღებული სესხები დოლარში და ევროში. შესაბამისად, სავალუტო რისკიდან მიღებული ზარალის ალბათობა საკმაოდ მაღალია. მენეჯმენტი მუდმივად ახდენს სავალუტო კურსის ცვლილების შეფასებას.

საკრედიტო რისკი	საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორების ან სხვა კონტრაგენტების მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ეს ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან. საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან ქართული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.
საპროცენტო რისკი	კომპანია არის საპროცენტო რისკის გავლენის ქვეშ, გამომდინარე იქიდან, რომ მას აქვს მიღებული სესხები როგორც ცვალებადი, ფიქსირებულ პროცენტებში. კომპანია ზემოთ ხსენებულ რისკს მართავს მისაღები ბალანსის დაცვით ფიქსირებულ და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის სესხებს შორის.
ლიკვიდურობის რისკი	ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის რისკი იმართება მკაცრი მენეჯმენტის გამოყენებით, რაც გამოიხატება ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველდღიურ რეჟიმში მონიტორინგით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსალოდნელი ფინანსური ვალდებულებების დროული დაფარვა. წარსული გამოცდილება გვჩვენებს, რომ ემტექნიკსის შემთხვევაში მოცემული რისკის ალბათობა არის მინიმალური და მისი შესაძლო ფინანსური გავლენა უმნიშვნელოა.
ლოჯისტიკური რისკი	მარაგების კონტროლი არის ის, თუ როგორ მართავს კომპანია მის ბალანსზე არსებულ მარაგებს. ეს გულისხმობს ასევე იმის უზრუნველყოფას, რომ კომპანია ეფექტურად ინახავს მარაგს, ინვენტარის ხარჯების შემცირებას და მის დათვლაზე და კონტროლზე დახარჯული დროის შემცირებას. მარაგების მართვა ფართოა ვიდრე კონტროლი. ეს ითვალისწინებს მიწოდების ჯაჭვს, წარმოებას, შესრულებას, გაყიდვებს და ანგარიშგებას. მარაგების შესყიდვის არასწორმა დაგეგმვამ შეიძლება გამოიწვიოს მარაგების სიჭარბე (გაზრდილი ხარჯები დასაწყობებაზე) ან მარაგების დეფიციტი (რაც იწვევს შემოსავლის დაკარგვას). ანალოგიური პრობლემა შეიძლება წარმოიქმნას თუ დეფიციტი განპირობებულია მომწოდებლის მიერ. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას ამ რისკის თავიდან ასაცილებლად. კომპანია ცდილობს ნაკლები მარაგის შენახვას, ხარჯების და რისკების შემცირებას, ახდენს მარაგების ანალიზს, რაც მიზნად ისახავს მარაგების იდენტიფიცირებას, რომელიც მარაგი მეტი მოგების მომცემია. პერიოდულად ახდენს მარაგების დათვლას, რაც ეხმარება კომპანიას დაადასტუროს მარაგების ზუსტი დონე, რათა უკეთესად შეძლონ მისი მართვა
ბაზარზე არსებული მძაფრი კონკურენცია	ბაზარზე არსებული მუდმივი კონკურენცია შეიძლება უარყოფითად აისახოს ფასზე და შესაბამისად კომპანიის რენტაბელობაზეც. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ბაზარზე პროდუქციის იმაზე დაბალ ფასში რეალიზაცია, რაც არ შეესაბამება იმპორტირებულ ფასებს. ზოგჯერ ეს განპირობებულია ახალი იმპორტიორის მიერ აგრესიული მარკეტინგული კამპანიით.

	ემტექნიკსი რა ღონისძიებებს ატარებს ამ რისკის შესამცირებლად
სეზონურობა	კომპანიის საქმიანობის ძირითად ნაწილს შეადგენს კონდიციონერით ვაჭრობა, რასაც ახასიათებს სეზონურობა. მენეჯმენტი მუშაობს გასაყიდი საქონლის ასორტიმენტის ზრდაზე, რათა დააბალანსოს მისი სეზონური ხასიათი
ეკონომიკური მდგრადობა	კომპანიის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებები, ასევე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო გეგმებზე. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.
კოვიდ-19-ის გავლენა	2020 წლის დასაწყისიდან COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, ყველა ბიზნესი გამოწვევების წინაშე დადგა. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა საჭირო და ჯეროვანი ზომა აქვს მიღებული კომპანიაზე COVID-19-ის პანდემიის გავლენის შესასუსტებლად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 10 აგვისტოს

ირინე გრძელიძე
დირექტორი

